შპს ,,ორიონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება“

კომპანიის დასახელება: შპს ,,ორიონ ჯგუფი“

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 405195667

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

დირექტორი: ზურაბ სარალიძე

მმართველობის ორგანო

. საერთო კრება

. სამეთვალყურეო საბჭო:

თავმჯდომარე/წევრი: ზურაბ სარალიძე

მესაკუთრე/წილის მმართველი:

84% - ზურაბ სარალიძე

8 % - ოლღა სარალიძე

8 % - ნონა სარალიძე

საღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 1: ზოგადი ინფორმაცია

შპს ,,ორიონ ჯგუფი“ (შემდგომში ,,კომპანია“) დაარსდა 2017 წელს საქართველოში. ის წარმოადგენს დეველოპერულ კომპანიას და ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 75, ბ. 53

კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 49ე

შენიშვნა 2: ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და საღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

საანგარიშგებო და სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

შპს „ორიონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება“

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს

1. საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
3. განმართებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით, შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა წარადგინოს საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, საქმიანობის შედეგების ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით.

აქტივები შეფასებულია პირველადი ღირებულებით და დაგროვილი ცვეთით (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის;

ამონაგების აღიარება:

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება.

კაპიტალი:

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ქონება კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი.

ძირითადი საშუალებები:

შპს „ორიონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება“

ძირითადი კაპიტალის შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება შეფასებით სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებთ.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობა - 5 %

ტექნიკა და ელ. მოწყობილობები - 20 %

ავეჯი და მოწყობილობა - 20 %

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა ახალი შეფასების ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება:

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღრინშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას.

თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო

ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს.

თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების შემცირებული სარეალიზაციო ფასის შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება.

გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირევის) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლისა და მოომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები:

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში:

უცხოური ვალუტის წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი ოპერაციის თარიღისთვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა

შპს „ორიონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება“

პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი:

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება: განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის.

მოგების გადასახადის განაკვეთი 15 %-ია.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0,85-ზე გაყოფის შედეგად.

საგადასახადო დაბეგვრის წესიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებასა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები:

მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე, აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები.

მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში აისახება, როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

ლაშა სოფრომაძე

ფინანსური დირექტორი:

_____

შპს "ორიონ ჯგუფი"-ს ფინანსური მდგომარეობა

1 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	**31/12/2023**	**31/12/2022**
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1,157,751.00	362,965.00
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	576,167.00	539,464.00
მარაგები	-	862,137.00
სხვა მოკლევადიანი აქტივები	11,042,946.00	12,002,371.00
არამატერიალური აქტივები	9,625.00	8,858.00
ძირითადი საშუალებები	4,945,230.00	4,440,852.00
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-
სულ აქტივები	**17,731,719.00**	**18,216,647.00**
ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებები	139,566.00	10,237.00
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	616.00	-
საგადასახადო ვალდებულებები	55,830.00	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-	160,169
მოკლევადიანი ვალდებულებები	**196,012.00**	**170,406.00**
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	-	2,674,980.00
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	**196,012.00**	**2,845,386.00**
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	11,924,886.00	17,272,000.00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	5,610,821.00	(1,900,739.00)
სულ საკუთარი კაპიტალი	**17,535,707.00**	**15,371,261.00**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**17,731,719.00**	**18,216,647.00**

ფინანსური დირექტორი: ლაშა სოფრომაძე

2 **2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის საქმიანობის შედეგები**

	31/12/2023	31/12/2022
ამონაგები	7,956,926.00	13,593,786.00
თვითღირებულება	(4,258,819.00)	(10,585,034.00)
წინა პერიოდის მარაგის გასწორება	-	-
საერთო მოგება	-	-
საპროცენტო შემოსავალი	4,692.00	226,918.00
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,010,663.00)	(667,364.00)
ცვეთა და ამორტიზაცია	(268,626.00)	(52,739.00)
საპროცენტო ხარჯი	(60,795.00)	(632,332.00)
ძირითადი საშუალების ჩამოწერა		
საიჯარო ქირა	(3,000.00)	-
სხვა ხარჯი	(432,632.00)	(610,868.00)
სულ საოპერაციო ხარჯები	**(1,775,716.00)**	**(1,963,303.00)**
საოპერაციო მოგება	**1,927,083.00**	**1,272,367.00**
გაუფასურების ხარჯი/რევერსირება		
მარაგების გაუფასურება	-	-
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	60,412.00	58,629.00
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	115,586.00	(64,525.00)
მოგების გადასახადის ხარჯი	827.00	-
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	**2,103,908.00**	**1,266,471.00**
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(4,684.00)	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	65,222.00	5,896.00
მოგება/(ზარალი)	**2,164,446.00**	**1,272,367.00**

ფინანსური დირექტორი: ლაშა სოფრომაძე

3	ცვლილებები საკუთარ კაპიტალში		
	სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)	**31/12/2023**	**31/12/2022**
	კაპიტალის საწყისი ნაშთი პერიოდის დასაწყისში	17,535,707.00	15,371,261.00
	განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
	კაპიტალის გაზრდა	-	-
	გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	-	-
	კაპიტალის ანგარიშგება პერიოდის ბოლოს	**17,535,707.00**	**15,371,261.00**

ფინანსური დირექტორი: ლაშა სოფრომაძე

4

ფულადი სახსრების მოძრაობა	2023	2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	915,993.00	679,772.00
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(60,795.00)	(632,332.00)
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	**855,198.00**	**47,440.00**
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(60,412.00)	(58,629.00)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	362,965.00	374,154.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**1,157,751.00**	**362,965.00**

ფინანსური დირექტორი: ლაშა სოფრომაძე